პროფესორ ომარ გაბედავას ხსოვნა
(22.02.1949 – 03.2016)

ომარ გაბედავა – ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ინფორმატიკაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სტუ–ს „მართვის ავტომატიზებული სისტემების“ კათედრის ლაბორატორიის გამგე, დისციპლინების „კომპიუტერის არქიტექტურა“, „ოპერაციული სისტემები“, „სერვერული და მულტიმედიური ტექნოლოგიები“ წამყვანი პროფესორი. მრავალი წიგნისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრის თანამშრომელი 1973 წლიდან, მისი მატერიალური პასუხისმგებლი პირი და საპატიო წევრი, პრინციპული, ერთგული და გულისხმიერი კოლეგა და მეგობარი, მოსიყვარულე მეუღლე და მამა.

ბატონი ომარ გაბედავა დაიბადა 1949 წლის 22 თებერვალს ქ. თბილისში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრებისთანვე, 1966 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე „ელექტრონული გამომთვლელი მანქანების“ სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1971 წელს ინჟინერ-ელეკტრიკოსის კვალიფიკაციით. იყო მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი მეცნიერი ავტომატიზაციის ტექნიკური მოწყობილობების სფეროში. მისი საკანდიდატო დისერტაცია ეხებოდა „ანოდირებული ფირფიტების წარმოებისათვის მანიპულატორების მართვის ავტომატიზებული სისტემას“, რომელიც წარმატებით დაიცვა 1993 წელს.

ბატონი ომარი „მართვის ავტომატიზებული სისტემების“ კათედრაზე მუშაობდა 1973 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, იყო „მას-ის ტექნიკური უზრუნველყოფის“ ლაბორატორიის გამგე, ასისტენტი, დოცენტი და პროფესორი. 1993-2006 წლებში შეთავსებით მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპეციალიზებული ფაკულტეის დეკანის თანამდებობაზე.

პროფესორი ო. გაბედავა თავის ცხოვრების შინაარსიან წლებს უკავშირებს ახალგაზრდობის განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, ავტომატიზებული სისტემების სრულყოფის, ტექნიკისა და ტექნოლოგიების ახალი მეცნიერული მიღწევებისა და დანერგვის საკითხებს. მის კალამს ეკუთვნის რვა სახელმძღვანელო და 50–ზე მეტი სამეცნიერო სტატია, აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში. იყო არაერთი წარმატებული დოქტორანტის და მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

უდავოდ დიდია ო. გაბედავას დამსახურება, როგორც ინჟინრისა და პედაგოგის.

სამართლიანი, ჭეშმარიტად ქრისტიანი და მაღალჰუმანური პრინციპების პიროვნება, ბატონი ომარი იყო შესანიშნავი მეოჯახე კაცი, ერთგული, მოსიყვარულე მეუღლე და ქალიშვილის მამა.

წავიდა ჩვენგან თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი, სამაგალითო ქართული ოჯახის თავკაცი, ჭეშმარიტად ღირსეული მამულიშვილი და ეროვნული ტექნიკური ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენელი, რომლის სახელს დიდხანს არ დაივიწყებენ მისი მადლიერი შთამომავლობა, მეგობრები და კოლეგები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი,
ჟურნალის რედკოლეგია